პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 196 (6251)

1978 წ. 5 ოქტომბერი, ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი...

მსტაფეტას წაიღებენ მძლეოსნები

მცირე ჩოგნებითა და ბურთით

მასობრივი შეჯიბრებები მსურველთა მონაწილეობით

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის წლისთავის აღსანიშნავად თბილისის სპორტკომიტეტის ინიციატივით დედაქალაქში გაიმართება რიგი შეჯიბრებები, რომელთა ნაწილმა სტარტი უკვე აიღო — უნივერსიტეტის კალათბურთის დარბაზში დაიწყო კალათბურთელთა საქალაქო პირველობა კონსტიტუციის თასზე, ხოლო გუშინ კიროვის პარკის მოედანზე ბრძოლებში ჩაებნენ ხელბურთელი ქალები, რომლებიც თბილისის ჩემპიონის სახელისთვის ასპარეზობენ.

დღეს, უნივერსიტეტის ფრენბურთის დარბაზში სტარტს აიღებენ ფრენბურთელები. დედაქალაქის ჩემპიონის ვინაობა კი ოქტომბრის შუა რიცხვებში გაირკვევა. სამივე სახეობაში ტურნირები ყოველდღე 16 საათიდან იწყება.

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტული დარბაზი დღეს 18 საათიდან 5 დღით უმასპინძლებს მაგიდის ჩოგბურთში დედაქალაქის ღია პირველობას, რომელშიც ასევე კონსტიტუციის თასი თამაშდება.

საბჭოთა კონსტიტუციას ეძღვნება თბილისის პირველობის მატჩები ფეხბურთში, რომლებიც შაბათ-კვირას მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონზე 10 საათიდან დაიწყება. ამავე დღეებში რაიონების საბინაო სამმართველოების სპორტულ მოედნებზე მოეწყობა ეზოს გუნდების მასობრივი შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობაში. კვირას კი ფიზკულტურისა და დასვენების პარკებში 15 საათიდან გაიმართება ერთდროული თამაშების სეანსები ჭადრაკში, შეჯიბრებები ფრენბურთში, კალათბურთში, მინი-ფეხბურთში, მოეწყობა აკრობატთა საჩვენებელი გამოსვლები; თბილისის ზღვაზე, ლისისა და კუს ტბებზე გაიმართება მასობრივი შეჯიბრებები სახალხო ნავებით ნიჩბოსნობაში, აფროსანთა საჩვენებელი ასპარეზობები (12 საათიდან), ხოლო 13 საათზე ლენინის სახელობის მოედანზე სტარტი მიეცემა მძლეოსნურ ესტაფეტას — „ქალაქის დიდი წრე".

მაგრამ მთავარი მაინც ზეიმია, რომელიც შაბათს 17 საათზე დაიწყება სტალინის სახელობის სანაპიროზე და კომკავშირის სახელობის თბილისის ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კომპლექსის გახსნას ეძღვნება.

ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

სპორტული სკოლა მთებში

ტაჯიკეთში, მთიანი-ბადახშანის ცენტრში გაიხსნა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა, რომელშიც მეცადინეობენ ხოროგისა და მეზობელი ყიშლაღების სკოლების მოსწავლეები. სპორტულ სკოლაში სპორტის 10 სახეობაში (ჭიდაობა, ფრენბურთი, ხელბურთი და სხვ.) ახალგაზრდებს წვრთნიან კვალიფიციური აღმზრდელები — დუშანბეს ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ტექნიკუმის კურსდამთავრებულები, ოლქის წამყვანი სპორტის ოსტატები.

ბავშვთა და მოზარდთა ახალი სპორტული სკოლა პამირის მთიანი მხარის ნორჩ სპორტსმენთა მომზადების მეთოდური ცენტრი იქნება.

ა. ნემიროვსკი.

ხოროგი.

ძმები ავდეევების სამი გამარჯვება

გაზეთ „სოვეტსკაია სიბირის" პრიზზე მოტოკროსმენთა საკავშირო შეჯიბრებაში სამჯერ გამოირჩნეს თავი ძმებმა ავდეევებმა. უფროსი, ვალერი სპეციალობით მძღოლი, ნოვოსიბირსკის მკვეთრ მოსახვევებიან რთულ ტრასაზე პირველი იყო 250 კბ. სმ მოცულობისძრავიანი მანქანებით ასპარეზობაში, ხოლო უმცროსი, 16 წლის მოსწავლე ანდრეი საუკეთესო იყო ჭაბუკთა შორის. ძმები თავიანთ წარმატებას მამას უნდა უმადლოდნენ. მარკ ავდეევი ახალგაზრდობაში გატაცებული იყო მოტოსპორტით, ახლა კი შვილების მოტოციკლეტებს ამზადებს სტარტებისთვის.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ნოვოსიბირსკის ნაკრებმა.

საკდესის კორ.

ნოვოსიბირსკი.

საკვირაო ფოტოთხრობა



ავტოგრაფები წყალზე

საკურორტო ქალაქ იურმალაში (ლატვია) გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში. შეჯიბრება მოეწყო მდინარე ლიელუპეზე.

• • •

სურათზე: სლალომის ტრასაზეა ქვეყნის ჩემპიონი, მოსკოველი ელენე მატიუხინა.

მსოფლიო თასები სიდოროვასა და კროვოპუსკოვს

მოსკოველი მუშკეტერები — რაპირისტი ვალენტინა სიდოროვა და ხმლით მოფარიკავე ვიქტორ კროვოპუსკოვი გასული სპორტული სეზონის შედეგების მიხედვით თავიანთ სახეობებში მსოფლიო თასის მფლობელები გახდნენ. ამასთან, სიდოროვამ ეს უმაღლესი ჯილდო ზედიზედ მეორედ დაიმსახურა.

აი, როგორ გამოიყურება უძლიერესთა სამეული: (ქალები): სიდოროვა — 58 ქულა, ე. რაცოვა (ჩეხოსლოვაკია) — 52, ე. ბელოვა (სსრ კავშირი) — 42. რაპირა (ვაჟები): დ. ფლამანი (საფრანგეთი) — 56, მ. ბერი (გფრ) — 42, ა. კუკი (რუმინეთი) — 40. ხმალი: კროვოპუსკოვი — 66, მ. ბურცევი (სსრ კავშირი) — 54, ი. გედევარი (უნგრეთი) — 52. დაშნა: ფ. რიბუ (საფრანგეთი) — 56, ა. პუში (გფრ) — 51, ა. აბუშახმეტოვი (სსრკ) — 41.

ფარიკაობა

წლეულს ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციამ უძლიერესები გამოავლინა უმაღლესი კატეგორიის 5 საერთაშორისო შეჯიბრებაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით.

ჭადრაკი

გუშინ ბიჭვინთაში [illegible] ნ. გაფრინდაშვილი — მ. ჩიბურდანიძის მატჩის XV პარტია. იგი გადაიდო. მსოფლიო ჩემპიონს ზედმეტი პაიკი აქვს.

გადადებული პარტიის დამთავრება მოხდება დღეს.

პარტია დღეს უნდა შედგეს

გუშინწინ ბაგიოში (ფილიპინები) ვაჟთა მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩში უნდა გამართულიყო XXIX პარტია, მაგრამ იგი არ შედგა. კონგრესების სასახლეში, სადაც მატჩი ტარდება, უამინდობის გამო დაირღვა ენერგომომარაგება და ორგანიზატორებმა პარტია სხვა დღისთვის გადაიტანეს.

XXIX პარტია დღეს, 5 ოქტომბერს უნდა გათამაშდეს.

სტარტი ნიკოლაევში

ნიკოლაევი, 4 ოქტომბერი (დეპეშით). აქ სტარტი აიღო სსრ კავშირის ქალთა 38-ე ჩემპიონატის ფინალმა.

შეჯიბრების საზეიმო გახსნაზე წილისყრამ მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე გაანაწილა: 1. დიდოსტატი ტ. ზატულოვსკაია, 2. ოსტატი ლ. ზაიცევა, 3. ოსტატი ტ. ჩეხოვა (სამივე — მოსკოვი), 4. ოსტატობის კანდიდატი ლ. პოლნარევა (ლენინგრადი), 5. საერთაშორისო ოსტატი ლ. სემიონოვა (კიევი), 6. საერთაშორისო ოსტატი ტ. ფომინა (ტალინი), 7. ოსტატი ნ. ტიტორენკო (მოსკოვი), 8. ოსტატი თ. ხუგაშვილი (თბილისი), 9. დიდოსტატი ე. ფატალიბეკოვა (მოსკოვი), 10. ოსტატობის კანდიდატი ლ. ლისენკო (უკრაინა), 11. ოსტატობის კანდიდატი ი. ერუსლანოვა (ვორონეჟი), 12. ოსტატობის კანდიდატი მ. წერეთელი (თბილისი), 13. ოსტატი ვ. სტერნინა, 14. ოსტატობის კანდიდატი თ. მინოგინა (ორივე — მოსკოვი), 15. დიდოსტატი ი. ლევიტინა (ლენინგრადი), 16. ოსტატი ო. პედკო (ჩელიაბინსკი), 17. ოსტატი ტ. ვორონოვა (უფა), 18. ოსტატი ნ. გურიელი (თბილისი).

გუშინ გაიმართა I ტური, რომელშიც მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა. წერეთელმა ლამაზი კომბინაციური იერიშით—პაიკის, კუსა და ეტლის შეწირვით სძლია ტიტორენკოს. ლევიტინამ მოუგო პოლნარევას. დაზავდნენ ჩეხოვა — პედკო.

ვ. მაჟავარიანი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

შაში

ბრძოლა დაიძაბა

ალმა-ათაში, ასუჯრიან შაშში სსრ კავშირის ქალთა IV ჩემპიონატის ფინალში, რომელშიც 16 მონაწილეა, X ტური გათამაშდა.

კვლავ იმარჯვა ნორჩმა მინსკელმა ოსტატმა ე. ალტშულმა, რომელმაც ო. ახმედოვას (ტაშკენტი) მოუგო. მას 8,5 ქულა დაუგროვდა.

ლიდერის უახლოესმა მდევარმა ოსტატმა მ. მოსიძემ (თბილისი) წააგო მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ ე. მიხაილოვსკაიასთან (მოსკოვი). ამ ტურნირში მიხაილოვსკაია წარუმატებლად გამოდის: ცხრა ტურში ორი პარტია წააგო და შვიდი ყაიმით დაამთავრა. მოსიძესთან მოგება მისი პირველი გამარჯვება იყო. თბილისელ ოსტატს (მას 7 ქულა დარჩა) გაუსწრო სსრ კავშირის ჩემპიონმა რ. ვიტკაუსკაიტემ (7,5) და დაეწიენ ქ. საკალაუსკაიტე, ლ. ტრავინა (სამივე — ვილნიუსი) და ო. ლევინა (ხარკოვი).

ძალოსნობა

გეტისბერგში, დიდ შეკრებაზე

გუშინ აშშ-ს ქალაქ გეტისბერგში (პენსილვანიის შტატი) დაიწყო მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი ძალოსნობაში, მაგრამ, ვიდრე ასპარეზობა სტარტს აიღებდა, პირველი რეკორდი დამყარდა: შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის ამ პატარა ქალაქში 49 ქვეყნის 250 სპორტსმენი შეგროვდა. საკდესის კორესპონდენტს ა. ვორონინს ამის შესახებ აცნობა აშშ-ის ათლეტიკის მოყვარულთა კავშირის ინფორმაციის განყოფილების ხელმძღვანელმა ჰ. კავამ.

მისი თქმით, შეჯიბრებაზე დასასწრები ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია. ასპარეზობა გაიმართება ადგილობრივი კოლეჯის სპორტდარბაზში, რომლის ტრიბუნები 4200 მაყურებელს იტევს. მსოფლიო პირველობა ამ პატარა ქალაქის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენაა, ამიტომაც მის ქუჩებში უჩვეულო გამოცოცხლება იგრძნობა. მოქალაქეთა დიდ ინტერესს იწვევს ყველა ძალოსანი, სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტებთან შეხვედრები. წარმატებით გაიარა უკანასკნელი გამოცდები ამერიკული ფირმის „იორკ ბელბარზის" შტანგამ, ტაბლომ, ფიცარნაგებმა.

— სსრ კავშირის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში ძალოსნობის „ვარსკვლავები" არიან, საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად ითვლება, — წერია ბროშურაში, რომელიც პირველობის წინ ათლეტიკის მოყვარულთა კავშირმა გამოსცა.

კავას აღიარებით გეტისბერგის ფიცარნაგზე ამერიკის გუნდი უფრო შესუსტებული შემადგენლობით გამოვა, ვიდრე მონრეალის 1976 წლის ოლიმპიადაში იყო. ავადმყოფობისა და ტრავმების გამო ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ მიიღებს რამდენიმე ძლიერი ათლეტი.

— მაგრამ ამის მიუხედავად ეს ასპარეზობა დაგვეხმარება ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენების შემოწმებაში და აშშ-ის ნაკრების XXII ოლიმპიადისთვის მზადების საქმეში. 1980 წლისთვის ამერიკის გუნდი გაცილებით ძლიერი იქნება და მსოფლიოს საუკეთესო კოლექტივებს სათანადო კონკურენციასაც გაუწევს.

— მსოფლიო ჩემპიონატის აშშ-ში ჩატარება, — აღნიშნავს ჰ. კავა, — ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობაში ძალოსნობის პროპაგანდის საუკეთესო საშუალებაა და ვიმედოვნებთ, რომ მოზარდები, რომლებიც შეჯიბრებებს დაესწრებიან ან ასპარეზობებს ტელევიზიით ნახავენ, უეჭველად შეეცდებიან მიბაძონ საბჭოთა სპორტსმენებს. ეს კი ხელს შეუწყობს ძალოსნობაში მომეცადინეთა რიგების ზრდას, ისე, როგორც თავის დროზე ოლგა კორბუტის გამოსვლებმა იქონია დადებითი გავლენა.

ვერც ერთი ქულა

ოცდაერთი „ოქროს“ სამკერდე ნიშნოსნიდან რამდენმა შეიძლება ვერ შეასრულოს მშდ კომპლექსის მრავალჭიდში „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზებზე შეჯიბრების მოთხოვნები? ამ კითხვაზე ბუნებრივია, ყველა უპასუხებდა: არცერთს არ აქვს ამის უფლება! მართლაც, რა „ოქროს“ ნიშნოსანია სპორტსმენი, რომელსაც ხუთივე სახეობაში ქულების მინიმუმის მოგროვებაც არ ძალუძს?

სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში ჯერ კიდევ ბევრია შემთხვევები, როცა კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადება ხდება... ქაღალდზე. ფიზკულტურის კოლექტივების ხელმძღვანელები ნორმატივების ჩამბარებლებს კი არ ეხმარებიან, სათანადოდ მოემზადონ სპეციალურ ჯგუფებში, არამედ საკმარისია კაცმა 2-3 ნორმატივი როგორღაც შეასრულოს (ხშირად წამატებებსაც აქვს ადგილი), რომ „ძნელ“ სახეობებში აღარ გასარჯონ იგი და ისე, „პროტექციით“ დაუსვან სათანადო მაჩვენებელი.

ГОТОВ К ТРУДУ И ОБОРОНЕ СССР

საქართველოს
ზონალური
პირველობა

მერე სწორედ აი, ასეთი ნიშნოსნებისგან დაკომპლექტებული გუნდები კომპლექსის მრავალჭიდელთა ტურნირებში ვერაფერს აკეთებენ. ამგვარ შემთხვევებს ხშირად ჰქონდა ადგილი გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზებზე საქართველოს ზონალურ ტურნირებში.

გუნდები ამ შეჯიბრებებისთვის კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების საერთო ხელმძღვანელობით მზადდება. ზონალურ და რესპუბლიკურ ტურნირებში არც ერთი კოლექტივი არ დაიშვება თუ მის განაცხადს კომკავშირის რაიკომის, ან ქალაქკომის მდივნის ვიზა არ აქვს. ეს კომკავშირული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით არის ნაკარნახევი, მაგრამ...

ბორჯომის ზონის ტურნირში მოასპარეზე შვიდი ნაკრების განაცხადიდან ადიგენის, ბორჯომისა და ბოგდანოვკის გუნდების განაცხადები კომკავშირის რაიკომის მდივნებიდან დამოწმებული არ იყო. ცხადია, მათ არც გუნდების მომზადებაში მიუღიათ მონაწილეობა და შედეგებიც სათანადო მოიმკეს.

ახალციხის კომკავშირის რაიკომის მდივანმა ზ. ბალიაშვილმა, ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მ. იაძემ და ექიმმა (მისი გვარის დადგენა ვერ მოვახერხეთ) კი განაცხადების შეუვსებელ ბლანკებზე ხელმოწერითა და ბეჭდების დასმით დაადასტურეს გუნდის წევრებზე „ზრუნვა“. უპრეცედენტო შემთხვევაა!

მართალია, ახალციხის რაიონის ნაკრებმა საერთო გუნდური პირველობა მოიგო, მაგრამ რა შედეგით? ოცდაორკაციანმა კოლექტივმა სულ 322 ქულას ძლივს მოუყარა თავი და ისიც ფაქტიურად 5 მონაწილის — ქ. ასატრიანის (II საფეხური, 56 ქულა), ი. კარაკაშიანის (III საფეხური, 75), თ. შალოლაშვილის (III, 58), ს. ჩარუხჩიანისა (IV საფეხურის პირველი ასაკობრივი ჯგუფი, 66) და ა. ხაჩატურიანის (IV, პირველი 67) წილად მოდის. ამ გუნდის ორი წევრი ნ. ანტოშინა და ა. ბაღასარიანი ტურნირს პირველი სახეობის მერე გამოეთიშნენ, ტყორცნამ კი კიდევ შვიდს მიუჩინა მაყურებლებში ადგილი...

მასპინძლებმა II ადგილი დაიკავეს (289 ქულა). ბორჯომის გუნდის ზუსტად ნახევარი პირველივე სახეობაში „ჩაიჭრა“. საბოლოოდ ფინიშამდე მივიდნენ დები — მოსწავლე ნათელა (III საფეხური, 57 ქულა) და მწვრთნელი რუსუდან ინდუაშვილები (IV საფეხურის პირველი ასაკობრივი ჯგუფი, 97 ქულა), ვ. სანაკოევი და მ. სამსონაძე (ორივე III საფეხური, 47 და 58 ქულა შესაბამისად). ეს არის და ეს.

წალკელებმა, რომლებმაც ხუთი ჩათვლა მიიღეს 261 ქულით III ადგილი დაიკავეს. ბოგდანოვკის ორი ათეული ნიშნოსნიდან მარტო სამი მივიდა ფინიშთან, ახალქალაქიდან— ორი, ასპინძიდან — ერთი, ადიგენიდან... ვერცერთი (?!).

ბუნებრივია, იბადება კითხვა, ამ რაიონების ფიზკულტურული და კომკავშირული ორგანიზაციები ყოველწლიურად როგორღა ასრულებენ მშდ კომპლექსის ნიშნოსნების მომზადების გეგმებს?

ვფიქრობთ, ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტში იმსჯელებენ ზონალური ტურნირის შედეგებზე და სათანადო ღონისძიებებსაც დასახავენ. ბოლოსდაბოლოს დროა ბოლო მოეღოს მშდ კომპლექსისადმი კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების გულგრილ დამოკიდებულებას.

ბორჯომის ზონალურ ტურნირში საფეხურების მიხედვით გაიმარჯვეს I საფეხურზე: ბიჭებს შორის ნ. მიხაილოვმა (წალკა) — 54 ქულა; II საფეხურზე: გოგონებში — ასატრიანმა (ახალციხე) — 56, ბიჭებში — ფოცხვერაშვილმა (ასპინძა) — 52; III საფეხურზე: ქალიშვილებში — ნ. ინდუაშვილმა (ბორჯომი) — 57, ჭაბუკებში — კარაკაშიანმა — (ახალციხე) — 75; IV საფეხურის პირველ ასაკობრივ ჯგუფში: ქალთა შორის — რ. ინდუაშვილმა (ბორჯომი) — 97; V საფეხურზე — ს. კოტოიანმა (ბოგდანოვკა) — 43.

ბ. ხარიძე.

[illegible]

ცნობები ზუგდიდიდან

ძალოსანთა ასპარეზობაზე

ოთხმოცამდე ძალოსანმა მოიყარა თავი „კოლმეურნის“ ზუგდიდის რაიონული საბჭოს პირად-გუნდურ პირველობაზე.

902 ქულით რაიონის ჩემპიონები გახდნენ ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის ძალოსნები (მწვრთნელი გ. გვილავა). 850 ქულით მეორე ადგილზე ნარაზენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სპორტსმენები არიან. 548 ქულით III ადგილი რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ წარმომადგენლებმა დაიკავეს.

წონითი კატეგორიების მიხედვით რაიონის ჩემპიონები გახდნენ: დ. გუნჯუა, ჯ. შენგელია, გ. გაბისონია, ვ. ხასია (ყველა — ზედა ეწერი), ბ. კალანდია, ზ. პირველი, მ. ჯიქია (ყველა — ნარაზენი).

„საქართველომ“ იმარჯვა

ჩატარდა „კოლმეურნის“ ზუგდიდის რაიონული საბჭოს წლევანდელი პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. რაიონის ჩემპიონი გახდა რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ ნაკრები გუნდი (მწვრთნელი, სპორტის ოსტატი დ. აგახანოვი). II ადგილზეა ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის კოლექტივი, III ადგილზე გამოვიდნენ ცაიშელი სპორტსმენები.

წონითი კატეგორიების მიხედვით რაიონის ჩემპიონები გახდნენ: გ. თოდუა, ლ. ფარცვანია, ე. ბულია, ჯ. ნაჭყებია (ყველა — რუხი), ბ. კაცია, ა. გოგია (ორივე — ზედა ეწერი), ფ. პეტელავა (ურთა), ა. სონგულია (ცაიში).

სასარგებლო ღონისძიება

„კოლმეურნის“ რაიონულმა საბჭომ ფიზკულტურის კოლექტივების ინსტრუქტორ- მეთოდისტებისათვის ჩაატარა სამდღიანი თათბირ-სემინარი, სადაც საუბარი იყო მშდ-ს ნიშნოსანთა, თანრიგოსანთა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების, დოკუმენტების შედგენის, აგრეთვე, სპორტული ბაზების, სპორტინვენტარისა და მთელი რიგი სხვა საკითხების შესახებ.

თათბირ-სემინარზე საუბრები ჩაატარეს: „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარემ შ. ჩანგელიამ, რაისაბჭოს ინსტრუქტორებმა ე. ნაჭყებიამ, ნ. ბერაიამ, ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ხუფენიამ, მძლეოსნობის მწვრთნელმა გ. გვარამიამ.

ჰ. ფიფია,



სპორტის ეროვნულ სახეობათა მადლი

ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მრავალწლიანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სპორტის ეროვნული სახეობების ფართო გამოყენება მასობრივი სპორტისა და დიდი სპორტის განვითარების ერთ-ერთი ფაქტორია. ამასთან დაკავშირებით ინტერესს იმსახურებს საკითხი — რა ფორმებით და როგორი დიაპაზონით ხდება ჩვენი სპორტსმენების მიერ ხალხური თამაშობების, ვარჯიშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების გამოყენება, რა საშუალებებით უწყობს ხელს ეროვნული სახეობები სპორტსმენთა დახელოვნებას დიდ სპორტში, იყენებენ თუ არა აღნიშნულ საშუალებებს ჩვენი სპორტსმენები სრულად, რაციონალურად და ა. შ.

ამ საკითხების შესწავლის მიზნით მივმართეთ სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდს. ანკეტა, რომლის მიხედვითაც წარმოებდა გამოკითხვა, შეიცავდა 25 კითხვას. კითხვები მუშავდებოდა იმ განზრახვით, რომ მათი მეშვეობით შესაძლებელი ყოფილიყო მიგვეღო ზუსტი ინფორმაცია სპორტსმენის პიროვნების, მისი სპორტული მომზადებისა და მიღწევების შესახებ, იმის შესახებ, თუ რომელ ეროვნულ სახეობებში, ხალხურ თამაშობებში და ვარჯიშებში მეცადინეობდა იგი და რა მნიშვნელობას ანიჭებს ამ უკანასკნელთ.

გამოკითხული იქნა სულ 300 მაღალკვალიფიცირებული სპორტსმენი. გამოკითხულთა შორის იყო სპორტის 14 სახეობის წარმომადგენელი. მათ შორის: მოჭიდავეები, ტანმოვარჯიშეები, ფეხბურთელები, მძლეოსნები, კალათბურთელები, ველოსიპედისტები, მოცურავეები და სხვ.

გამოკითხულთა კონტინგენტი ძირითადად მოქმედი სპორტსმენებისაგან შედგებოდა (82,0 %), რომლებიც ჯერ კიდევ სისტემატურად მონაწილეობენ სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებში.

გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციებიდან, უპირველეს ყოვლისა განვიხილოთ მონაცემები, რომლებიც ეხება ხალხური მოძრავი თამაშობებისა და ვარჯიშების გამოყენებას; შევეხოთ საკითხს — რა მნიშვნელობას ანიჭებენ მათ სპორტსმენები თავიანთ სპორტულ მოღვაწეობაში და როგორია მათი პრაქტიკული გამოყენების დიაპაზონი.

გამოკითხული სპორტსმენები აღიარებენ, რომ ყველა ისინი ბავშვობისა თუ სიჭაბუკის წლებში, როგორც წესი, მეცადინეობდნენ ხალხურ თამაშობებში. კერძოდ ისეთებში, როგორიცაა: ლახტი, რიკტაფელა, გაკვრა-გაქცევა, ოთურმა, დაჭერობანა, დახუჭობანა, დროშობია, ჯოხიტაცობა, ჯარაობა, ისინდი, ქვასალობია, ყაბახი, კოჭური, ქორაობა, კატათაგვობანა, მონადირე და ცხვრები, სხრეობა, ხმალაობა, წრებურთი, შვიდქვაობა, ცხენობანა, ჩაჭრაობა და სხვ.

ანკეტის კითხვაზე — „რა როლი შეასრულა ხალხურმა მოძრავმა თამაშებმა და ვარჯიშებმა თქვენს, როგორც სპორტსმენის, ჩამოყალიბებაში“ — ყველა გამოკითხულმა სპორტსმენმა გვიპასუხა — ფრიად დადებითი. მოგვყავს ზოგიერთი მათგანის პასუხი:

„ხალხური თამაშობები და ვარჯიშები მომეცადინეთა საერთო ფიზიკური მომზადების, უმნიშვნელოვანესი ფსიქოფიზიკური თვისებების განვითარების და მათში სპორტისადმი ინტერესის დანერგვის საუკეთესო საშუალებებია“ (სპორტის დამსახურებული ოსტატი და დამსახურებული მწვრთნელი ლევან ახვლედიანი).

„ეს თამაშობანი და ვარჯიშები ფიზიკური აღზრდის სხვა საშუალებებზე უკეთ ამზადებს ბავშვებს დიდი სპორტისათვის“ (საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ივანე ალიხანოვი).

„ხალხური თამაშობანი და ვარჯიშები ავითარებს სისწრაფეს, ძალას, მოქნილობას, საზრიანობას, მოხერხებულობას. ისინი საუკეთესო საშუალებებია ადამიანის მოსამზადებლად დიდ სპორტში მოღვაწეობისათვის“ (სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ვახტანგ ბალავაძე).

„ხალხურმა თამაშობებმა და ვარჯიშებმა ჩემს სპორტულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს; ისინი ავითარებენ ადამიანის, როგორც ფიზიკურ, ასევე გონებრივ თვისებებს“ (სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გიორგი ვარძელაშვილი).

„ხალხურ თამაშობათა და ვარჯიშთა გარეშე შეუძლებელია სპორტში მაღალი შედეგების მიღწევა“ (სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გიორგი როსტიაშვილი).

ამგვარად, მოწინავე სპორტსმენები და მწვრთნელები მაღალ შეფასებას აძლევენ ხალხურ თამაშობებსა და ვარჯიშებს, როგორც საუკეთესო საშუალებებს მოზარდის საერთო ფიზიკური მომზადებისათვის და ნაყოფიერი სპორტული მოღვაწეობისათვის.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხალხური თამაშობებისა და ვარჯიშების პრაქტიკული გამოყენების მასშტაბი თანდათანობით მცირდება. ბავშვთა ფიზიკური აღზრდის პრაქტიკაში ხალხური თამაშობები და ვარჯიშები 20-30 წლის წინათ უფრო ფართოდ იყო გამოყენებული, ვიდრე დღეს. ამას ერთხმად ადასტურებს ჩვენს მიერ გამოკითხული ყველა სპორტსმენი.

მრავალი ხალხური თამაშობა მივიწყებას ეძლევა, რაც ფიზიკური აღზრდის თეორიისა და პრაქტიკისათვის დიდ დანაკლისს წარმოადგენს. შექმნილი მდგომარეობა გვავალებს ყურადღება მივაქციოთ ხალხური თამაშობებისა და ვარჯიშების ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდის პრაქტიკაში ფართოდ გამოყენების საქმეს.

მიღებული მონაცემების შემდგომმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ 300 გამოკითხული სპორტსმენიდან სპორტის ეროვნულ სახეობებში, კერძოდ — ქართულ ჭიდაობაში, ლელოში, სპორტის ცხენოსნურ სახეობებში (ისინდში, ყაბახში, ჩოგანბურთში) [illegible] 165 კაცს (55,0 %). მათ შორის ყველაზე მეტი — მოჭიდავე — [illegible] (97,7 %), შემდეგ მოდიან მძლეოსნები, კალათბურთელები, ფეხბურთელები. სპორტის ეროვნულ სახეობებში საერთოდ არ უვარჯიშიათ გამოკითხულ წყალბურთელებს, ველოსიპედისტებს, მოფარიკავეებს, მაგიდის ჩოგბურთელებს, მოცურავეებს, მშვილდოსნებს.

ამგვარად, როგორც აღნიშნულიდან ჩანს, გამოკითხული სპორტსმენები ძირითადად ვარჯიშობდნენ ქართულ ჭიდაობაში, მეტად მცირე ნაწილს უვარჯიშიათ ლელოში და ცხენოსნობაში.

მიღებული მონაცემების შემდგომი ანალიზისა და აგრეთვე, ჩვენს მიერ ადრე ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა ჭიდაობამ დიდი როლი შეასრულა ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონი ქართველი მოჭიდავეების აღზრდაში.

სახელგანთქმულმა ქართველმა მოჭიდავეებმა: არსენ მეკოკიშვილმა, დავით ციმაკურიძემ, მირიან ცალქალამანიძემ, გივი კარტოზიამ, ვახტანგ ბალავაძემ, ლევან თედიაშვილმა, შოთა ჩოჩიშვილმა და მრავალმა სხვამ თავიანთი სპორტული გზა ქართული ჭიდაობით დაიწყეს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ქართულ ჭიდაობას დაუფლებულმა ჩვენმა ფალავნებმა ხანმოკლე დროში აითვისეს ჭიდაობის ახალი ოლიმპიური სახე — ძიუდო და ერთბაშად მოიპოვეს ამ სახეობაში წამყვანი ადგილი არა მარტო სსრ კავშირის, არამედ მსოფლიოს სპორტულ სარბიელზეც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა ვირწმუნოთ, რომ ქართულ ჭიდაობაში დაოსტატება დიდ დახმარებას უწევს მოჭიდავეებს მაღალი სპორტული მიღწევების მოპოვებაში.

სახელდობრ რაში გამოიხატება ეს დახმარება?

აი, რას ამბობენ ამის შესახებ რესპუბლიკის მოწინავე მწვრთნელები და სპორტსმენები: ქართული ჭიდაობა ეხმარება ყველა, ოთხივე სახის ჭიდაობას — კლასიკურს, თავისუფალს, განსაკუთრებით კი სამბოსა და ძიუდოს. ეს ადვილი გასაგები იქნება თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული ჭიდაობის ილეთებიდან სამბოში და ძიუდოში უშუალოდ გამოიყენება — კისრული (როგორც ჩოქელა, ასევე ზეზელა), მოგვერდი, ბრუნი, შუა კაური, ცერული, სარმა (გარე, შუა, გამოკრული), ჩაჩეხვები, ნამგალა.

დასმულ კითხვაზე ასეთი დასაბუთებული პასუხის შემდეგ ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, თუ რა ოქროს ხიდი ყოფილა ქართული ჭიდაობა, რომელსაც (როგორც ეს მრავალი წლის სპორტულმა პრაქტიკამ გვიჩვენა) სოფლის სპორტსმენი თითქმის უშუალოდ გადაჰყავს ფალავანთა მსოფლიო სარბიელზე.

როგორია დღეისათვის ქართული ჭიდაობის განვითარების მდგომარეობა?

აქაც, ისევე როგორც ხალხურ თამაშობებში და ვარჯიშებში, მომეცადინეთა რაოდენობა ადრე უფრო მრავლად იყო, ვიდრე დღესაა. აქაც მდგომარეობის გამოსასწორებლად ქმედითი ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი.

ქართულ ჭიდაობას აქვს საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიციები და იგი ჯერჯერობით კიდევ სარგებლობს დიდი პოპულარობით (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში). ჭიდაობის ფანდები და შეჯიბრების წესები პრაქტიკულად ცნობილია სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის. შეჯიბრებები ტრადიციულია და დიდძალ მაყურებელს იზიდავს. რა თქმა უნდა, ყველა ეს ფაქტორი უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა და რაციონალურად უნდა იქნას გამოყენებული ქართული ჭიდაობის განვითარებისათვის.

დ. ჟვანია,
ნ. შიშნიაშვილი,
საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატები;
ც. კაკაბაძე,
უფროსი მეცნიერ-მუშაკი, ქუთაისი.

ფეხით სიარულის სიკეთე

ცნობილია, რომ ჩვენს საუკუნეში, რომელიც ტექნიკისა და ავტომატიკის მეტად სწრაფი განვითარებით ხასიათდება, ადამიანის ორგანიზმს ექმნება პირობები საიმისოდ, რომ რაც შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდეს კუნთური მოძრაობის მხრივ შეზღუდულ მდგომარეობაში, ანუ ჰიპოკინეზიის პირობებში, რაც ჯანმრთელობისთვის ერთობ დიდ საშიშროებას წარმოადგენს.

ჰიპოკინეზიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში წამყვანი როლი ენიჭება ფიზიკურ ვარჯიშებს (ფიზიკურ შრომას, სხვადასხვა სახის კუნთურ მოძრაობას), რომელთა პრაქტიკულად გამოყენება, სამწუხაროდ, ადამიანის მიერ სხვადასხვა მიზეზის გამო ხშირად ვერ ხერხდება. მაგრამ იმისთვის, რომ ადამიანმა ყოველდღიურად მიიღოს გარკვეული ფიზიკური დატვირთვა, საკმარისია გამოიყენოს გადაადგილების ყველაზე უფრო ბუნებრივი, ჩვეული საშუალება — სიარული.

სიარულს ადამიანი ბავშვობიდანვე ეჩვევა. იგი მთელი მისი არსებობის მანძილზე ორგანიზმის ერთ-ერთ ძირითად სასიცოცხლო მაჩვენებლად იქცევა. სიარული მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ორგანიზმში ფიზიოლოგიური პროცესების ნორმალურ ვითარებაში წარმართვას. ასე, მაგალითად, სიარულის შედეგად უმჯობესდება გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის ფუნქციური მდგომარეობა, მაღლდება ნერვული სისტემის ტონუსი, უკეთესად წარმოებს კუნთების შეკუმშვა-გაფართოება, სახსრებში მოძრაობა და სხვ. საერთო ჯამში სიარული მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებას, ეს კი ადამიანის ორგანიზმის კარგ ჯანმრთელობაზე მიუთითებს.

მაგრამ ყველა ადამიანი ერთნაირად არ უნდა დადიოდეს. საჭიროა მხედველობაში იქნას მიღებული ასაკი, ფიზიკური მომზადება, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა. თვით სიარულის დროს საჭიროა გათვალისწინებულ იქნას მოძრაობის ტემპი, მანძილი, გზის დახრილობის კუთხე, შესვენებათა სიხშირე და ა. შ. სწორედ ამიტომაა საჭირო მკურნალობისა და პროფილაქტიკის თვალსაზრისით ვიაროთ, ვინაიდან იგი ბევრად თვალსაჩინო გამაჯანსაღებელ ეფექტს იძლევა.

მრავალი მეცნიერული გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ დოზირებული სიარულის დროს, როდესაც მოძრაობის ტემპი შეფარდებულია სუნთქვის რიტმთან, ადგილი აქვს 2-3 კილომეტრის გავლის შემდეგ ცენტრალურ ნერვულ სისტემაში აგზნება-შეკავებით პროცესებს შორის წონასწორობის დამყარებას, რაც დადებითად მოქმედებს ორგანიზმის ყველა ორგანოს ფუნქციებზე. ზომიერი ნაბიჯით დოზირებული სიარულის შედეგად, განსაკუთრებით თუ იგი სიმაღლეზე ასვლასთან არის დაკავშირებული, უმჯობესდება გულის კუნთის შეკუმშვის ძალა, ხოლო სუნთქვა ბევრად უფრო თავისუფალი ხდება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის, კერძოდ, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გავარჯიშების საქმეში ტერენკურს, რომლის დროსაც წარმოებს გარკვეული მარშრუტების (500, 1500 და 3000 მეტრის მანძილებზე) დაფარვა ისე, რომ გასავლელი ადგილი ამ დროს აუცილებლად გარკვეული დახრილობის კუთხის ქვეშ (3-დან 10-15 გრადუსამდე) იმყოფებოდეს.

კურორტის პირობებში წარმოებულმა მრავალმა დაკვირვებამ ნათელჰყო, რომ ტერენკური ითვლება შეუდარებელ გამაჯანსაღებელ საშუალებად, რომელსაც თვალსაჩინოდ შეუძლია აამაღლოს ჩატარებული კლიმატური და ბალნეოლოგიური კომპლექსური მკურნალობის ეფექტურობა. გარდა აღნიშნულისა, ტერენკური დადებითად მოქმედებს ადამიანის ფსიქოემოციურ სფეროზე. სიარული ბუნების წიაღში, მისი სილამაზით დატკბობა და, რაც მთავარია, სუფთა ჰაერზე მოძრაობა — აი, ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან დადებით ზეგავლენას ახდენენ ადამიანის ნერვული სისტემის ფუნქციურ მდგომარეობაზე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სამწუხაროდ, ბევრი ჩვენგანი ჯერ კიდევ თითქოს განზრახ გაურბის ფეხით სიარულს, თუმცა კარგად ესმის თუ რაოდენ დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია გადაადგილების ამ ძირითად სახეობას.

არ შეიძლება დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა მხოლოდ რბენას აქვს და არა ფეხით სიარულს. მართალია, ფეხით სიარული რბენასთან შედარებით უფრო ნაკლებად ავითარებს ორგანიზმში ბიოლოგიურ პროცესებს, მაგრამ საშუალო ასაკისა და ხანში შესულ ადამიანებში და ავადმყოფებში ფეხით სიარული იწვევს თვალსაჩინო ფიზიოლოგიურ ძვრებს, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო ბიოლოგიური ტონუსის ასაწევად.

სიარული, რომელიც წუთში 60 ნაბიჯით სრულდება, რასაკვირველია, ახალგაზრდა და ჯანმრთელ პირზე არავითარ ზემოქმედებას არ ახდენს, მაგრამ გულის კუნთის ინფარქტის გადატანის შემდეგ ასეთი ტემპით სიარული პირველ ხანებში გულზე დადებითად მოქმედებს. ჯანმრთელმა ადამიანმა უნდა იაროს სწორ ადგილზე დასაწყისში, ე. ი. გავარჯიშებამდე წუთში 70-80 ნაბიჯით (თვლა წარმოებს მარცხენა ფეხის დადგმაზე და მიღებული რიცხი მრავლდება ორზე), შემდეგში კი სიარულის დროს ნაბიჯების რიცხვი 100-მდე და უფრო მეტადაც უნდა გაიზარდოს. საჭიროა გვახსოვდეს, რომ სიარულით სხეულის წონაში დაკლება იწყება მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი წუთში 120-130 ნაბიჯით დადის.

ცნობილია, რომ ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით ყოველდღიურად საჭიროა 10-12 კილომეტრის გავლა. დღეში 10.000 ნაბიჯის გავლა საშუალო ნორმაა (აღრიცხვა წარმოებს სპეციალური საათით — ნაბიჯმზომით) და მისი რეგულარულად შესრულება დადებით ეფექტს იძლევა. არსებობს აზრი, რომ ადამიანმა ყოველდღიურად 20 და მეტი კილომეტრი უნდა გაიაროს, მაგრამ ეს დასაშვებია მხოლოდ ჯანმრთელ და ფიზიკურად გავარჯიშებულ ადამიანთათვის.

სიარულის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სუნთქვის სწორ შეხამებას ნაბიჯებთან. თუ ჯანმრთელი ადამიანისთვის დასაშვებია შესუნთქვა 5-6 ნაბიჯზე და ამდენივე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ამოსუნთქვა, იგივე ციფრები წინააღმდეგნაჩვენებია მათთვის, ვისაც აღენიშნება გადახრა ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ. ამ შემთხვევაში 2-3 ნაბიჯზე ხდება შესუნთქვა, ხოლო 3-4 ნაბიჯზე — გახანგრძლივებული ამოსუნთქვა. სიარულის დროს სუნთქვა უნდა წარმოებდეს ცხვირით, ვინაიდან ამ დროს შესუნთქული ჰაერი 30 გრადუსამდე თბება და იწმინდება.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ დასვენების მომენტში 5-6-ჯერ ღრმად შესუნთქვა-ამოსუნთქვა [illegible]ლად აუმჯობესებს ფილტვების ვენტილაციას.

ტერენკურის მარშრუტების დაფარვის დროს სიარულის ტემპი სიმაღლის დახრის კუთხის მომატების შესაბამისად უნდა მცირდებოდეს. ამ დროს სიარული საჭიროა ზომიერ ტემპში.

დოზირებული სიარულით მოსახლეობის მკურნალობა და პროფილაქტიკა საზოგადოებრივ საქმედ უნდა გადაიქცეს. ამჟამად ამ გამაჯანსაღებელ ღონისძიებას მხოლოდ კურორტებზე ექცევა ყურადღება (სამწუხაროდ, ისიც ყველგან არა), თუმცა იგი თავისუფლად შეიძლება იქნას გამოყენებული ყველგან. ადგილებზე ტერენკურების მარშრუტების მოწყობა არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს, მაგრამ ამას ესაჭიროება სათანადო ყურადღების მიქცევა.

დიდი მნიშვნელობა აქვს დოზირებული სიარულის დანერგვის საქმეში პოლიკლინიკების აქტიურ მონაწილეობას და პირველ რიგში საექიმო ფიზკულტურის დისპანსერებს. ისინი უნდა გადაიქცნენ საკონსულტაციო ცენტრებად დოზირებული სიარულით ფიზიკური ვარჯიშის ყველა საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ სიარული ადამიანის ჯანმრთელობის ერთ-ერთი ძირითადი საწინდარია.

თ. თოფურია,
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 მთავარი სამმართველოს უფროსი, კოლეგიის წევრი.

რ. სვანიშვილი,
სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის კათედრის გამგე, მე-4 სამმართველოს მთავარი კონსულტანტი.

საკავშირო ჩემპიონატში

უმაღლესი ლიგა

მოგვყავს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 25-ე ტურის შეხვედრათა ტექნიკური მონაცემები.

„დინამო“ მ. — „ზენიტი“ 3:1. 2 ბურთი გაიტანა პეტრუშინმა, 1 — მაქსიმენკოვმა. მხოლოდ ამის მერე შეძლეს ლენინგრადელებმა ერთადერთი საპასუხო გოლის გატანა. (კლემენტიევი).

დუბლიორები — 1:2.

„შახტიორი“ — „ქაირათი“ 1:3. ჩემპიონატის საპრიზო ადგილის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა „შახტიორმა“ ჯერ კიდევ პირველ ტაიმში გაუშვა გოლი ევდოკიმოვისგან. შესვენების შემდეგ იმავე ევდოკიმოვმა და ნეხტიმ კიდევ 2 ბურთი გაიტანეს. მასპინძლებმა „მშრალი“ ანგარიშით დამარცხებას თავი დააღწიეს 86-ე წუთზე (ლატიში). ამ მატჩში „ქაირათის“ კარში დაინიშნა 11-მეტრიანი დარტყმა, მაგრამ მეკარე ორდაბაევმა მოიგერია ლატიშის მიერ დარტყმული ბურთი.

გაფრთხილებული არიან ვარნავსკი („შახტიორი“) და კოჩუბინსკი („ქაირათი“).

დუბლიორები — 1:0.

„დინამო“ კ. — „ლოკომოტივი“ 3:1. ტაიმის ბოლო წუთზე სუსინმა გამოიყენა კიეველთა დაცვაში დაშვებული შეცდომა და გახსნა ანგარიში, მაგრამ ლოკომოტიველთა წარმატება ამით ამოიწურა. საპასუხო გოლი ბურიაკმა გაიტანა 11-მეტრიანი დარტყმით, ხოლო შემდეგ ვერემეევმა და ბლოხინმა კიდევ ორჯერ აიღეს მასპინძელთა კარი.

დუბლიორები — 2:1.

„სპარტაკი“ — „ჩერნომორეცი“ 1:1. ოდესელმა დოროშენკომ 47-ე წუთზე გახსნა ანგარიში, 15 წუთის შემდეგ კი კორეშკოვმა საპასუხო გოლი გაიტანა. ამ მატჩში პირველად შევიდა ძალაში საკავშირო ჩემპიონატის დებულების ახალი პუნქტი, რომლის თანახმადაც ფრედ დამთავრებული მე-9 მატჩისთვის „ჩერნომორეცს“ ქულა არ დაეწერა.

დუბლიორები — 5:1.

„ტორპედო“ — „ზარია“ 2:0. ვოროშილოვგრადელთა კარში შესვენების შემდეგ ბურთები გაიტანეს სახაროვმა და გრიშინმა.

დუბლიორები — 2:0.

„დნეპრი“ — „ფახთაქორი“ 0:1. მატჩის ბედი გადაწყვიტა ისაკოვის მიერ 65-ე წუთზე გატანილმა ბურთმა.

დუბლიორები — 1:1.

„ნეფთჩი“ — ცსკა 2:1. არმიელებმა წარმატებით დაიწყეს თამაში და მე-7 წუთზე გოლიც გაიტანეს (ჩესნოკოვი). მალე ნურმამედოვმა გაქვითა ანგარიში, შეხვედრის დასასრულს კი ბანიშევსკიმ წინ გაიყვანა „ნეფთჩი“.

დუბლიორები — 3:0.

გათამაშების ცხრილი

სათადარიგო შემადგენლობანი

მდგომარეობა 5 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ თბ.	25	16	4	5	37—14	36
ცსკა	25	13	9	3	37—22	35
„შახტიორი“	25	12	6	7	31—19	30
„დინამო“ მ.	25	11	8	6	31—19	30
„ნეფთჩი“	24	11	6	7	30—26	28
„დინამო“ კ.	25	11	6	8	27—24	28
„არარატი“	25	9	10	6	33—23	28
„ჩერნომორ.“	25	10	7	8	24—29	27
„სპარტაკი“	25	10	5	10	38—24	25
„ტორპედო“	25	10	4	11	36—32	24
„ფახთაქ.“	24	7	8	9	26—29	22
„ქაირათი“	25	7	7	11	28—34	21
„ლოკომოტ.“	25	6	6	13	23—39	18
„ზენიტი“	23	5	7	11	24—41	17
„ზარია“	25	5	6	14	23—53	16
„დნეპრი“	25	0	11	14	16—36	11

ფეხბურთი

პირველი ლიგა

3 ოქტომბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის კალენდარული მატჩები.

ქუთაისის ტორპედოელები აშხაბადში შეხვდნენ ადგილობრივ „კოლხოზჩის“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „კუზბასი“ (კემეროვო) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 3:1, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — ასკ (ოდესა) 2:1, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „კარპატი“ (ლვოვი) 0:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 2:1, „თერგი“ (გროზნო) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 1:1, ასკ (დონის როსტოვი) — „პამირი“ (დუშანბე) 1:0, „დინამო“ (მინსკი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 3:0.

ასე ფიქრობს ოლიმპიური ჩემპიონი

ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრების დაწყებამდე რომში ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობა თანდათან მატულობდა. ნახევარფინალების სტარტის წინ ერთი ასეთი ჯგუფი იტალიის დედაქალაქში საბჭოთა კავშირიდანაც ჩავიდა. ისინი უმეტესად სპეციალისტები იყვნენ. რა თქმა უნდა, ჯგუფის წევრები, განსაკუთრებით მწვრთნელები, გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალყურს ბრძოლებს. საკდესის კორესპონდენტმა სთხოვა მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის ვაჟთა გუნდის მწვრთნელს ფრენბურთში 1964 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს **ვაჟა კაჭარავას** გაეზიარებინა ჩემპიონატზე მიღებული შთაბეჭდილებები.

— ფრენბურთი, უწინარეს ყოვლისა, საკმაოდ „გაიზარდა“. მე მხედველობაში მაქვს სპორტსმენთა ათლეტური მონაცემები. ბოლო ათი წლის მანძილზე ამ სახეობის მოთამაშეთა საშუალო სიმაღლე 5-10 სანტიმეტრით ამაღლდა.

— შეძლებდით თუ არა თქვენ დღეს ასეთი „გოლიათების“ წინააღმდეგ თამაშს?

— ძნელი სათქმელია. მათთან ალბათ მე პატარა გამოვჩნდებოდი (თუმცა კაჭარავას სიმაღლე 185 სმ-ია), მაგრამ ვფიქრობ, როგორც გამთამაშებელი, თავს არ შევირცხვენდი. ფრენბურთი ხარისხობრივადაც შეიცვალა.

— ახლა სპეციალისტები ბევრს ლაპარაკობენ კუბის ფრენბურთის შესახებ. აღნიშნავენ, რომ კუბელები, მაგალითად, ადგილიდან 100 სანტიმეტრზე და უფრო მაღლა ხტებიან, მათი ლიდერი კი — ერნესტო მარტინესი — 118 სანტიმეტრსაც აღწევს. რას იტყვით ამის შესახებ?

— კუბის ფრენბურთს თავისი უნდა მიეზღოს: ბოლო ხუთი წლის მანძილზე კოლოსალური პროგრესი განიცადა. ამ პერიოდში მან ისეთი გზა განვლო, რომელსაც სხვებმა 10,15,20 წელი მოანდომეს.

ჩვენს ფრენბურთში იყვნენ ასეთი სპორტსმენები, მაგალითად, ოლიმპიური ჩემპიონი ივანე ბუგაენკოვი, რომელსაც 105 სანტიმეტრ სიმაღლეზე „აფრენა“ შეეძლო.

— კუბელების გუნდის გარდა კიდევ რომელ გუნდებს გამოყოფდით?

— ჩემის აზრით, თანამედროვე ფრენბურთში მოდების კანონმდებლები არიან სსრ კავშირისა და პოლონეთის გუნდები. მომწონს, აგრეთვე, იტალიელებისა და ბრაზილიელების თამაში. ბევრს უნდა ველოდეთ გდრ-ის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იაპონიის სპორტსმენებიდან. ამასთან დაკავშირებით ვფიქრობ, რომ მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადაზე ფრენბურთელთა ფინალური შეჯიბრება ძალიან საინტერესო იქნება.

ფრენბურთი

ჩემპიონები თავისუფლების კუნძულიდან

მსოფლიოს ფრენბურთელ ქალთა მერვე ჩემპიონატი კუბელი სპორტსმენების ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. ნათამაშევი 9 მატჩიდან გუნდმა მხოლოდ ორი პარტია წააგო. კუბის ნაკრების გამარჯვება თავისუფლების კუნძულზე სპორტის აყვავების ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია.

მოედანზე: მსოფლიოს ჩემპიონები (მარცხნივ) და ვერცხლის პრიზიორები — იაპონელი ფრენბურთელები; თასით ხელში — ჩემპიონთა კაპიტანი მერსედეს პომარესი.

ფოტოთვალით განვლილ შეჯიბრებებზე



როგორც ცნობილია, წყალში მხტომელთა წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი დასავლეთ ბერლინში გაიმართა. ამ ასპარეზობაში 19 წლის პენზელმა სტუდენტმა ი. კალინინამ იმარჯვა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან და 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში და ადრინდელ მსოფლიო ჩემპიონატში (რომელიც კოლუმბიაში მოეწყო) მოპოვებულ „ოქროს“ კიდევ ოქროს ორი მედალი დაუმატა.

სურათზე: კალინინას „ოქროს“ ნახტომი ტრამპლინიდან.

30 წლის ლენინგრადელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. მოისეევმა წლეულს მესამედ იმარჯვა 250 კბ-სმ-ის მოცულობისძრავიანი მოტოციკლებით კროსში და მსოფლიო ჩემპიონის მესამე ოქროს მედალი მოიგო. ამ სპორტსმენმა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ტრასებზე გამართულ ცალკეულ ეტაპებზე საერთო ჯამში გაცილებით მეტი ქულები მოაგროვა, ვიდრე მისმა მეტოქეებმა, ხოლო ბოლო ეტაპზე, რომელიც მისი მშობლიური ქალაქის მიდამოებში მოეწყო, ყველა მოხიბლა.

სურათზე: მოისეევი ასპარეზობის დროს.

სპორტული კინოს განხილვა

თუ არა კინოში, სხვაგან, სად შეიძლება ისე ღრმად აისახოს ის მოვლენები, მათი მსვლელობა, რომლებიც მასებს ასე ძალიან აინტერესებს. ამიტომაც დღითი-დღე იზრდება კინოზე მოთხოვნილება, ელიან მეტს, უკეთესს.

კიდევ უფრო მეტს ელიან კინოსაგან სპორტის სპეციალისტები და მოყვარულები, თუმცა სპორტის ბევრი პრობლემა ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია, ჩრდილშია მოქცეული. სოციოლოგებიც ჯერჯერობით ახალს ვერაფერს გვპირდებიან, მაგრამ განა ეს ხელს გვიშლის ფირზე აღვბეჭდოთ სპორტის მოურჩენელი თუ მორჩენილი ტკივილები?

სწორედ ეს კითხვა დაუსვა თავს კიევის დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდიამ და გამოსავალიც თვითვე ნახა, გადაიღო მხატვრული ფილმი „თუ შენ წახვალ“. არჩევანი ნიჩბოსნებზე შეჩერდა. სურათში დაუფარავი სიმართლითაა მხილებული ზოგიერთი სპორტსმენის უნებისყოფო ხასიათი, რომელიც ღუპავს გუნდს.

ვერც ერთი სპორტსმენი თუ მწვრთნელი გულგრილი ვერ დარჩება ამ ნამუშევართან გაცნობისას, სწორედ ამ პრობლემამ შეჰყარა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში პედაგოგმეცნიერები. საქართველოსა და დედაქალაქის სპორტის ვეტერანთა საბჭოების პრეზიდიუმის ინიციატივით მოეწყო ფილმის განხილვა.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის გამგემ დოც. ა. ციბაძემ, ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ო. დიდებულიძემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა შ. ჩიხლაძემ, ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგმა ჯ. ოდილავაძემ, ფიზკულტურისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკმა, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა დ. ქვანიამ, ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის, ხელბურთისა და ჩოგბურთის კათედრის გამგემ გ. ბაქანიძემ, მწვრთნელმა ვ. ლაბუნსკიმ, ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების დეკანმა ა. შეიფარიანმა და ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა ნ. ნოზაძემ და ნ. ქინქლაძემ.

მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ ფილმი, როგორც იდეურ-მეთოდური, ისე მხატვრული თვალსაზრისით კარგად არის გადაწყვეტილი. იმედი გამოთქვეს, რომ სპორტული ცხოვრების ამსახველი კინოსურათები იმრავლებს.

რ. შანშიაშვილი.

მეორე ლიგა

2 ოქტომბერს შედგა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი შეხვედრები:

„შირაკი“ (ლენინაკანი) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 3:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 2:0, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ტორპედო“ (ტოლიატი) 2:2.

მატჩი შედგება რუსთავში

დასასრულს მიუახლოვდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში ფიზიკური კულტურის კოლექტივების გუნდებს შორის. ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს კიევის „ბოლშევიკმა“ და კალუგის „ზარიამ“.

ეს მატჩი 8 ოქტომბერს გაიმართება რუსთავში.

ფეხბურთის მოედნებზე

ჭაბუკთა რესპუბლიკური ჩემპიონატი 5 ოქტომბერი. მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. **განათლების განყოფილება (თბილისი) — „დილა“ (გორი).** დასაწყისი 16 ს. „ავაზას“ სტადიონი დიღომში. **„ავაზა“ (თბილისი) — „დინამო“ (თბილისი). 16 ს. 30 წთ.** დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონი. **„განთიადი“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი). 17 ს.**

ჩემპიონატები, თასები, ტურნირები

ინგლისი

ტური ტურს მისდევს და სერიოზულ კონკურენციას ვერავინ უწევს „ლივერპულს“. V ტურში მან მეხუთე გამარჯვება იზეიმა, ამჯერად სტუმრად, „ბირმინჰემ სიტისთან“ — 3:0. 4 ფრეს შემდეგ, როგორც იყო, გაიმარჯვა ჩემპიონმა — „ნოტინჰემ ფორესტმა“, რომელიც „არსენალს“ ხვდებოდა — 2:1. შესანიშნავად ითამაშა ჩემპიონის 16 წლის ნახევარმცველმა მაილსმა. „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ ისევ გამოიყვანა მინდორზე არგენტინელი ფეხბურთელები არდილესი და ვილა. „ტოტენჰემმა“, რომელმაც წინა ტურში სასტიკი მარცხი იგემა (0:7) „ლივერპულთან“, ამჯერად ძლივს მოიგო (1:0) „ბრისტოლ სიტისთან“ და ისიც როჯერსის ავტოგოლის წყალობით.

ტურის სხვა შედეგებია: „ბოლტონ უონდერერსი“ — „[illegible]რბი ქაუნთი“ 2:1, „კოვენტრი სიტი“ — „ჩელსი“ 3:2, „ევერტონი“ — „მიდლსბრო“ 2:0, „იფსვიჩ თაუნი“ — „ასტონ ვილა“ 0:2, „მანჩესტერ სიტი“ — „ლიდს იუნაიტედი“ 3:0, „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 1:1, „საუთჰემპტონი“ — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ 3:2, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — „ნორვიჩ სიტი“ 2:2.

ახლა „ლივერპულს“ 10 ქულა აქვს. მას თითო ქულით ჩამორჩებიან „კოვენტრი სიტი“ და „ევერტონი“, ორით — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“.

შვეიცარია

VI ტურის ცენტრალური შეხვედრა გაიმართა ბერნში, სადაც ადგილობრივმა „იანგ ბოისმა“ უმასპინძლა ჩემპიონს — ციურიხის „გრასჰოპერსს“. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

„იანგ ბოისი“ 11 ქულით კვლავ მტკიცედ ლიდერობს. II-III ადგილებზე არიან „სერვეტი“ (ჟენევა) და „სენტ-გალენი“.

შოტლანდია

IV ტურში გაიმართა ცენტრალური შეხვედრა გლაზგოს გუნდებს „სელტიკსა“ და „გლაზგო რეინჯერსს“ (ჩემპიონი და თასის მფლობელი) შორის. 1977-78 წლების ჩემპიონატში „სელტიკი“ ძალზე წარუმატებლად თამაშობდა, ახლა კი როლები შეიცვალა. „სელტიკმა“ ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა (3:1) და კვლავინდებურად პირველ ადგილზეა. „აბერდინმა“ დაამარცხა „მოტერუელი“ — 4:0 და 7 ქულით მეორე ადგილზე იმყოფება. „გლაზგო რეინჯერსი“ 2 ქულით მხოლოდ მე-7 ადგილზეა.

ჰოლანდია

ქულათა მაქსიმუმით (4 თამაშიდან 8) კვლავინდებურად ლიდერობს ამსტერდამის „აიაქსი“. IV ტურში მან შინ პრინციპული მატჩი მოუგო „ეინდჰოვენს“ — 2:0. „როდა“ (კერკრადე) სტუმრად თამაშობდა „ფც დენ ჰააგთან“. მოიგო — 3:0 და 7 ქულით II ადგილზეა. „ეინდჰოვენმა“, როტერდამის „სპარტამ“, „ნიიმეგენმა“ და „უტრეხტმა“ 5-5 ქულა მოაგროვეს.

ბელგია

კვლავ წინ არის თასის მფლობელი „ბევერენ-ვაასი“. III ტურში მან სასტიკი მარცხი აგემა „ზერინგენს“ — 5:1 და ახლა 3 თამაშიდან 5 ქულა აქვს. ყველაზე დიდი მოულოდნელობაა ჩემპიონის — „ბრიუგეს“ მარცხი „მოლენბეკთან“ — 0:2, რომელიც ახლა ბოლოსწინა, მე-17 ადგილზეა.

ფეხბურთი

ევროპაში ტურნეს ატარებს ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთელთა ნაკრები. გლაზგოში ამერიკელებმა მარცხი იწვნიეს შოტლანდიის ახალგაზრდული ნაკრებისგან — 1:3. შემდგომი მატჩი ლისაბონში პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებთან კვლავ ამერიკელთა მარცხით დამთავრდა — 0:1. მხოლოდ ბელგიის მეორეხარისხოვან საკლუბო გუნდ „ბეერშოტთან“ შეძლეს სტუმრებმა მიეღწიათ ფრესთვის — 1:1.

უეფა-ს აღმასკომმა გამოაცხადა, რომ 1979 წლის 7-8 თებერვალს ციურიხში გაიმართება ევროპის ქვეყნების ეროვნულ საფეხბურთო ასოციაციათა პრეზიდენტების თათბირი. დღის წესრიგშია კონტინენტზე ახალგაზრდული ფეხბურთის პრობლემები.

ნიუ იორკის „კოსმოსმა“ მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე ადგილობრივი „ბაიერნისაგან“ განცდილი სასტიკი მარცხის შემდეგ (1:7) შტუტგარტში წააგო ამავე სახელწოდების იქაურ გუნდთან — 1:6, მერე კი ითამაშა ფრაიბურგში, რომლის გუნდი გფრ-ის II ლიგაში გამოდის და აქაც მარცხი განიცადა — 0:2.

ერთადერთ წარმატებას „კოსმოსმა“ მიაღწია ლონდონში, სადაც ფრედ ითამაშა ადგილობრივ „ჩელსისთან“ — 2:2.

კალათბურთი

მთავარი ბრძოლები წინ არის

მანილაში (ფილიპინები) დასასრულს უახლოვდება კალათბურთში ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის წინასწარი შეხვედრები. ფინალურ ტურნირში ითამაშებს რვა გუნდი. ორი მათგანი ადრევე იყო ცნობილი — ფილიპინები, როგორც ჩემპიონატის მასპინძელი და სსრ კავშირი, როგორც მსოფლიოს ჩემპიონი.

ქვეჯგუფებში ტურნირის მეორე დღემ უკვე დაასახელა ხუთი ფინალისტი. ესენი არიან აშშ, იუგოსლავია, კანადა, ბრაზილია და ავსტრალია. უკანასკნელი, მეექვსე საგზურისთვის პრეტენზიას აცხადებენ პუერტორიკოელი და იტალიელი სპორტსმენები, რომლებმაც პრინციპული მატჩი წააგეს ბრაზილიასთან.

ველოსპორტი

ყირიმის გზებზე გრძელდება საკავშირო ჩემპიონატი მრავალდღიან ველორბოლაში.

VII ეტაპს შეადგენდა იალტის მახლობლად არსებული აი-პეტრეს აღმართი. 21-კილომეტრიანი ეტაპი, რომელზეც დაყოფილი სტარტით შეჯიბრება გაიმართა, მოიგო ს. სუხორუჩენკოვმა (კუიბიშევი) — 43.06.

VIII ეტაპი იყო იალტის რკალური რბოლა. 103 კმ ყველაზე სწრაფად გაიარა ტარტუელმა ა. პიკუუსმა — 2:37.22.

რვა ეტაპის შემდეგ ლიდერობდა სუხორუჩენკოვი, იგი მშვიდობის ველორბოლაში გამარჯვებულ ავერინს თითქმის 3 წუთს უგებდა. მესამე ადგილზე იყო ლენინგრადელი ს. მოროზოვი, ხოლო მეოთხეზე — კუიბიშეველი ა. გუსიატნიკოვი, რომელიც უძლიერესი აღმოჩნდა მორიგ, მეცხრე ეტაპზე. მან იალტიდან სუდაკამდე 118 კილომეტრის გავლას 3 საათი, 13 წუთი და 04 წამი მოანდომა.

ცხრა ეტაპის ჯამში გუნდურ ჩათვლაში რსფსრ-ს ნაკრები ლიდერობს, ხოლო პირადში — სუხორუჩენკოვი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-59; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 93-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-20, სპორტლოტო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-53; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 65435
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 02237